ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 93

"16" სექტემბერი 2014 წ.

ქ. თბილისი

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის, კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის №525 ბრძანებულებით დამტკიცებული „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესის" მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-6 მუხლის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 61-ე მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შეიქმნას ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია;

2. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს ბექა ნაცვლიშვილი;

3. კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ დაინიშნოს თარაშ შურღაია;

4. დამტკიცდეს კომისიის შემადგენლობა დანართის შესაბამისად;

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე

საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შექმნის, კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნისა და კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2010 წლის 9 ივლისის №111 დადგენილება;

6. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

დანართი

დამტკიცებულია

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2014 წლის 16 სექტემბრის № 93 განკარგულებით

ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობა

1. ბექა ნაცვლიშვილი (თავმჯდომარე)
2. თარაშ შურღაია (მოადგილე)
3. კობა კობალაძე
4. დიმიტრი მახათაძე
5. გურამ თაბუაშვილი
6. გიორგი ნიჟარაძე
7. ნინო ღოღობერიძე